

შპს ფორჯენიქსი

ფინანსური ანგარიშგება საანგარიშო წლისათვის , რომელიც დასრულდა 2024
წლის 31 დეკემბერს

სარჩევი:

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება -----	3
საქმიანობის შედეგების ანგარიშგება -----	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება-----	5
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება -----	6
ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.....	7-16

შპს „ფორჯენიქსის“ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის .
(ქართული ლარი)

შპს ფორჯენიქსი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)					
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება		შენიშვნა	12/31/2024	12/31/2023	12/31/2022
აქტივები					
გრძელვადიანი აქტივები					
გრძელვადიანი ინვესტიციები			0	0	0
ძირითადი საშუალებები			0	0	0
არამატერიალური აქტივები			975	1,094	0
			975.00	1,093.88	-
მოკლევადიანი აქტივები					
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები		1	1,031	10,733	730,180
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები		2	926,353	6,101	16,472
მარაგები			0	466	57,026
გაცემული სესხები		3	78,943	548,867	198,000
მისაღები პროცენტები			7,017	30,524	537
			1,013,345	596,691	1,002,215
მთლიანი აქტივები			1,014,320	597,785	1,002,215
მთლიანი კაპიტალი					
კაპიტალი			0	70	-
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)			339,646	549,266	532,479
			339,646	549,336	532,479
ვალდებულებები					
მოკლევადიანი ვალდებულებები					
მოკლევადიანი სესხები		4	0	0	0
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		5	674,673	40,074	466,766
საგადასახადო ვალდებულებები			0	8,374	-
გადასახდელი პროცენტი			0	0	2,970
			674,673	48,449	469,737
მთლიანი ვალდებულებები			674,673	48,449	469,737
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები			1,014,320	597,785	1,002,215

დირექტორი



შპს „ფორჯენიქსი“ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის .
(ქართული ლარი)

შპს ფორჯენიქსი
მოგება - ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2024 წლის დასრულებული წლისათვის

(ლარი)	შენიშვნა	12/31/2024	12/31/2023	12/31/2022
ამონაგები	6	5,313,298	1,805,222	2,670,295
თვითღირებულება		(5,320,820)	(1,690,999)	(2,190,246)
საერთო მოგება		(7,522)	114,223	480,049
სხვა შემოსავლები		41,222	7,870	36,702
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	7	(158,569)	(151,760)	(86,252)
სხვა ხარჯები	8	(86,468)	(7,153)	(43,299)
საოპერაციო მოგება		(211,336)	(36,821)	387,201
ფინანსური შემოსავალი		39,312	55,764	2,618
ფინანსური ხარჯი		(36,540)	(2,155)	(9,770)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		2,772	53,609	(7,152)
მოგება დაბეგვრამდე		(208,565)	16,788	380,049
მოგების გადასახადი		-	-	-
პერიოდის მოგება		(208,565)	16,788	380,049
სხვა სრული შემოსავალი:				
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით		-	-	-
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი		(208,565)	16,788	380,049



შპს „ფორჯენიქსი“ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის.
(ქართული ლარი)

შპს ფორჯენიქსი
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2024 წელი

(ლარიში)	კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2021 წლის 1 იანვარი	0	-	-
მოგება წლის ბოლოს	-	152,430	<u>152,430</u>
სხვა შემოსავლები	159,000		<u>159,000</u>
გაცემული დივიდენდი		-	-
2021 წლის 31 დეკემბერი	159,000	152,430	311,430
მოგება წლის ბოლოს	-	380,049	<u>380,049</u>
სხვა შემოსავლები	978,600	-	<u>978,600</u>
სხვა ცვლიება	1,137,600		<u>1,137,600</u>
გაცემული დივიდენდი	-	-	-
2022 წლის 31 დეკემბერი	-	532,479	532,479
2023 წლის 1 იანვარი	0	532,479	532,479
მოგება წლის ბოლოს	-	16,788	<u>16,788</u>
სხვა შემოსავლები	70	-	<u>70</u>
სხვა ცვლიება	-	-	-
გაცემული დივიდენდი		-	-
2023 წლის 31 დეკემბერი	70	549,266	549,336
მოგება წლის ბოლოს	-	(208,565)	<u>(208,565)</u>
სხვა შემოსავლები	60	-	<u>60</u>
სხვა ცვლიება	130	-	<u>130</u>
გაცემული დივიდენდი	-	1,055	<u>1,055</u>
2024 წლის 31 დეკემბერი	-	339,646	339,646

დირექტორი




შპს „ფორჯენიქსის“ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის.
(ქართული ლარი)

შპს ფორჯენიქსი
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2024 წლის

(ლარში)	2024	2023	2022
ფულადი სახსრების საწყისი ბალანსი	10,733.65	730,179.46	2,231,575.00
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
შემოსავლები	7,152,386.08	2,083,010.81	4,766,361.28
გასავლები	7,224,329.26	2,823,518.34	6,065,622.07
ფულის ნაზრდი(კლება) საოპერაციო საქმიანობიდან	(71,943.18)	(740,507.53)	(1,299,260.79)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
შემოსავლები	60.00	70.00	978,600.00
გასავლები	130.00	-	1,137,600.00
ფულის ნაზრდი(კლება) საინვესტიციო საქმიანობიდან	(70.00)	70.00	(159,000.00)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
შემოსავლები	92,398.22	26,239.63	2,104.72
გასავლები	29,372.81	5,127.68	3,721.23
ფულის ნაზრდი(კლება) საფინანსო საქმიანობიდან	63,025.41	21,111.95	(1,616.51)
სავალუტო კურსის ეფექტი	(714.60)	(120.23)	(41,518.24)
ფულადი სახსრების საბოლოო ბალანსი	1,031.28	10,733.65	730,179.46

დირექტორი



1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ფორჯენიქსი (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2021 წლის 15 ნოემბერს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 405492603 , იურიდიული მისამართი საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, პეტრე ქავთარაძის I შესახვევი, N 10, სართული 5, საოფისე ფართი.

2025 წლის 5 აგვისტოს მოხდა ცვლილება და კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი გახდა ჟუჟუნა ფეიქრიშვილი (პ.ნ.01012015569).

კომპანიის დირექტორია ჟუჟუნა ფეიქრიშვილი (პ.ნ.01012015569).

კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა სამედიცინო და ლაბორატორიული აპარატურის იმპორტი და რეალიზაცია; ლაბორატორიის სახარჯი მასალების იმპორტი და რეალიზაცია.

კომპანიის საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

საქართველოს ბიზნეს-გარემო

კომპანია საქმიანობას ეწევა საქართველოში და მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები. საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

შპს „ფორჯენიქსის“ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის .
(ქართული ლარი)

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისათვის.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტურისააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები ყოველწლიურად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმპერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით. შემოსავლები აღიარდება, როდესაც არსებობს სარწმუნო მტკიცებულებები, როდესაც მყიდველს გადაეცემა მნიშვნელოვანი რისკები და საკუთრების უფლება საქონელზე, გაწეულია გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები და საიმედოდ შეფასებულია საქონლის შესაძლო უკან დაბრუნება. რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა

აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება (გარდა მცირევადიანი ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებებისა) ყოველი საანგარიშგებოპერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

- (ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველიაღიარებისას;
- (ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;
- (გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტურისაპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და
- (დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით). ფინანსური აქტივები და

ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს დაკლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზეარ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

- (ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და
- (ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

ინვესტიციები შვილობილ და მეკავშირე საწარმოებში

ინვესტიციები შვილობილ ან მეკავშირე საწარმოებში აღირიცხება გაუფასურების ზარალითშემცირებული თვითღირებულებით.

მოთხოვნები საქმიანობიდან და სხვა მიმდინარე მოთხოვნები მოთხოვნები წარმოადგენენ ყველა მიმდინარე მოთხოვნებს მომსახურებიდან და მიწოდებიდან, წინასწარ გადახდილ გადასახადებსა და წინასწარ გაწეულ ხარჯებს. სავაჭრო და სხვა დებიტორული მოთხოვნების აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდით, გამოკლებული გაუფასურებისდანაკარგი. დებიტორული დავალიანების გაუფასურების დანაკარგი ჩამოყალიბებულია, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულებები, რომ კომპანია ვერ შეძლებს ყველა თანხის შეგროვებას მისაღები მოთხოვნების მიხედვით.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში რეზერვში ცვლილებების ოდენობა აისახება მოგება-ზარალისანგარიშგებზე. ნებისმიერი მოთხოვნის ჩამოწერის ასახვა ხდება არსებული საექვო მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. ყველა სავაჭრო მოთხოვნა, პირდაპირ ჩამოიწერება და აღიარდება პერიოდის მოგება-ზარალში

აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივი შეფასდება ყოველ ანგარიშგების დღეს იმ მიზნით, რომ განისაზღვროს არსებობს თუ არა მისი გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. ფინანსური აქტივი ჩაითვლება გაუფასურებულად იმ შემთხვევაში, თუ ობიექტური მტკიცებულებით ნაჩვენებია აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდგომ ზარალის შემთხვევა, რაც შესაძლებელია უარყოფითად აისახოს აღნიშნული აქტივის სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებაში, რაც ფასდება საიმედოდ.

ხარჯების აღიარება

კომპანია გასწევს ხარჯებს საქმის წარმოებაზე თავის საოპერაციო საქმიანობის პროცესში, ასევე აქვს სხვა ხარჯები, რაც არ უკავშირდება მის ძირითად საქმიანობას. ხარჯების აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა შემცირება მომავალი ეკონომიკური სარგებლისა, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯების აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, გაწეული ხარჯებისა და

შემოსავლებს შორის უშუალო შეპირისპირების საფუძველზე, შემოსავლების კონკრეტული მუხლების მიხედვით. თუკი ეკონომიკური სარგებლის წარმოშობა მოსალოდნელია რამდენიმე საანგარიშო პერიოდის მანძილზე და კავშირი შემოსავალთან შეიძლება

მოიძებნოს მთლიანად ან ნაწილობრივ, მაშინ მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხარჯის აღიარება მოხდება რაციონალური გადანაწილების მეთოდით. ხარჯის აღიარება ხდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში დაუყოვნებლივ, თუ ხარჯი აღარ ქმნის მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან როცა მომავალი ეკონომიკური სარგებელი არ შეესაბამება ან აღარ შეესაბამება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში (ბალანსში) აქტივად აღიარების მოთხოვნებს.

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

(ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

(ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლით კურსით ბალანსის შედგენის დღისათვის. მოგება და ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების

კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

2023 წლის 31 დეკემბერს და 2024 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

პერიოდი	დოლარი	ევრო
კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6894	2.9753
კურსი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8068	2.9306

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები აღიარდება გაწეული მომსახურების საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში.

ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით, თუ კომპანიას გააჩნია ამთანხის სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულში

დაქირავებულ პირთაგან მიღებული მომსახურების საფუძველზე და ეს ვალდებულებები შეიძლება შეფასდეს საიმედოდ.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდი ფასი, შემცირებული იმ მოსალოდნელი დანახარჯების ოდენობით, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციისმეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის

გამოყენებით. ფული და ფულის

ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალებების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალებების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციონარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ

კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შენობა-ნაგებობები - 25 წელი;
მანქანა-დანადგარები - 8-10 წელი;
კომპიუტერული ტექნიკა - 4-8 წელი;
ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა - 8-10 წელი;
სატრანსპორტო საშუალებები - 5-10 წელი;
იჯარით აღებული ფართის კაპიტალური რემონტი - 10 წელი;
სხვა ძირითადი საშუალებები - 2-4 წელი.

დ) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურებისვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო მომსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურებისვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 10%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არამორტიზდება.

ე) შეკეთებასთან ან განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისთანავე და მათი

ჩართვა ხდება პერიოდის საოპერაციო ხარჯებში, თუ არ არსებობს მათი კაპიტალიზაციის

საფუძველი.გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში. კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა), არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები.

შპს „ფორჯენიქსის“ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის .
(ქართული ლარი)

2024 წელს საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-შეადგენდა.

წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

სავაჭრო ვალდებულება

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის

შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგებისთანდართულ შენიშვნებში.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

შენიშვნა 1

ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები

	2024	2023	2022
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1,031	10,733	10,887
საგარანტიო თანხა	0	0	119,807
სულ	1,031	10,733	730,180

შპს „ფორჯინიქსის“ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის .
(ქართული ლარი)

შენიშვნა 2

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

	2024	2023	2022
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	886,915	5,700	7,155
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	0	0	375
საგადასახადო აქტივი	39,438	401	8,942
სულ	926,353	6,101	16,472

შენიშვნა 3

გაცემული სესხები

	2024	2023	2022
სესხი	78,943	548,867	198,000
სულ	78,943	548,867	198,000

შენიშვნა 4

მოკლევადიანი სესხები

	2024	2023	2022
სესხები პარტნიორებისგან	0	0	324,448
სულ	0	0	324,448

შენიშვნა 5

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	2024	2023	2022
მოწ. და მომსახ. წარმოქმნილი ვალდებულებები	674,512	40,074	54,480
სოციალური გადასახადი	161	0	33
მიღებული ავანსები	0	0	87,805
სულ	674,673	40,074	142,319

შენიშვნა 6

ამონაგები

	2024	2023	2022
ძირითადი საქმიანობიდან მიღებულ შემოსავალი	5,313,298	1,805,222	2,670,295
სულ	5,313,298	1,805,222	2,670,295

შენიშვნა 7

ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი

	2024	2023	2022
სამეურნეო ხარჯი	466	290	28,620
მიწოდების სხვა ხარჯები	343	28	4
შრომის ანაზღაურება	42,546	114,260	16,748
სოციალური დანარიცხები	858	2,285	494
საკონსულტაციო ხარჯები	97,590	4,564	36,664
საბანკო მომსახურება	2,014	1,152	3,585
სხვა საერთო ხარჯი	0	8	30
ჯარიმები	4,094	4,149	105
სხვა საგადასახადო ხარჯი	6,368	24,932	0
ცვეთა და ამორტიზაცია	119	93	0
დაზღვევა	4,171	0	0
სულ	158,569	151,760	86,252

შენიშვნა 8

სხვა ხარჯები

	2024	2023	2022
არასაოპერაციო ზარალი	17,534	7,033	4,721
კონვერტაციის ხარჯი	715	120	38,577
დამრგვალების ხარჯი	6	0	0
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	68,212	0	0
სულ	86,468	7,153	43,299

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება,

კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცებულია 2025 წლის 01 ოქტომბერს.

დირექტორი:

